



ნახ. გ. ლომიძისა

ნახ. ჯ. ლომუასი




საბჭოთა კავშირი იარაღს აქლარუნებს!..



საბჭოთა კავშირი თავს გვესხმის!..





70

ქართველ მწერალთა არმიას დღეს სანდოდ სარდლობ შენ — სანდრო!  
 გვესურს: ხვალაც, მძლავრო ბერმუხავ, მეხდუცემლად უსარდლო!  
 სიკვდილს დაუხშე ჭიშკარი, დაადე კლიტე უხეში!  
 ზინარ და მწესთან საუზმობ, მთვარესთან ვახშმობ მუხებში!  
 ღრმად ჩაიხედე თავიდან ჩაგრული ხალხის გულშია,  
 შენი ლექსითაც დაიწყო ცხრაას ხუთს რევოლუცია!  
 შენს დრამებს — „ბერდო ზმანია“, „ანზორ“, „როდამი“, „არსენა“ —  
 ჰქონდათ ტრიუმფი! — ისინი მაღალმა ღმერთმაც ასსენა!  
 გვხიბლავს „კრწანისის გმირები“ და „უგვირგვინო მეფენი“!  
 სუყველა ნაწარმოები შენ ხალხისათვის შექმენი!  
 დაწერე ბევრი თხზულება — ეპიკურ-მონუმენტური!  
 შენ არ გემდურის კალამი და კალამს არც შენ ემდური!  
 ახლაც ხარ ხალისიანი, სიტყვა და ლექსიცეცხლოვანი  
 და, სულით მსცოვან ბევრ ჭაბუკს, სჯობიხარ ხორციით მსცოვანი!  
 საქართველოში ცამდეა ასული შენი დიდება  
 და, ცას რომ გამოუკერო, არავის გაუკვირდება!  
 ვთხოვ შენი სიყრმის მეგობარს — ძვირფას ტიხონოვ ნიკოლოზს,  
 გვეტუმროს იუბილეზე — ჭაღარა გადავითოვლოს!

სიამაყით მოგილოცავ ორდენს „ხალხთა მეგობრობის“!  
 მეგობრობის გაშლილ ღრმად ჩვენ მარტო შენც გვეყოფიდი!  
 მწესთან წასაუზმებამი და მთვარესთან ვახშმობამი  
 განვლილი გაქვს შარა გრძელი!.. რუსთაველი გახსოვს ბავში!  
 შენ სიკვდილი ვერასოდეს ვერ შეგიტანს შავ სიაში  
 და-საქვეყნოდ განაცხადებს: „შეგუშინდი მანუაშვილი!“  
 გაუმარჯოს შენი ლექსის, შენი სიტყვის ქართულ ძალას!  
 იცოცხლე და იღღერძე და აჯობე მათუსალას!  
 იროცილი ევდოშვილის შენ ხარ სისხლით ნათესავი  
 და, ამიტომ, წინ, წინ გასწი, იყავ — ათჯერ ას წელს მაინც!

### სიმღერა იოსებ ნონეშვილზე

სრულდება მისი დაბადების მე-60 წლი-  
 სთავის იუბილესთან დაკავშირებით, „შენ  
 ხარ ვენახის“ პანაგზე

ხარ პოეზიის ვენახი, — გვალვის და სეტყვის ამტანი!  
 წელს დიდებული რთველი გაქვს და შენი რთვლით ვართ  
 დამთვრალნი!  
 რთვლობით ყოველ წელს გვათრობდი, გვატბობდი,  
 საქართველობდი!  
 ამაყობდი და ამაყობ უკვდავი საქართველოთი!  
 საყოველთაო-სახალხო ავტორიტეტით ბრწყინავხარ!  
 ჩვენში ბავშვებმა შობამდე იცოან უკვე, ვინა ხარ!  
 რამხელა ნიჭი, უნარი, ძალა და ღონე გპიროდა,  
 რომ მოგეხვეჭა ნანატრი ტიტული ნონეშვილობა!  
 ახი გზა გაქვს და ხალხისკენ მიღის ის ყველა ახი გზა!  
 ისე გაყავს დატყვევებული ხალხი, — გზაშიაც ტაშს გიკრავს!  
 შენი გვარი და სახელი შორს და შორზე შორს გავარდა!  
 ხალხს ეყვარები, რაც უნდა თქვან მავანთა და მავანთა!  
 ყველაზე მეტად ამიტომ (არის ამის დროც, მომენტიც!)  
 დაგშვენდებოდა წოდება დღეს შენ სახალხო პოეტის!

#### მისამღერი

მისი ლექსები მასებში რაკეტებივით ქრიან,  
 მისი წიგნები ჩვენს ქალებს ქმრებთან მზითებდალ მიაქვთ,  
 უცხოეთშიაც იცნობენ, უცხოლ არასდროს თვლიან!  
 არის ასეთი პოეტი! — მას იოსები ჰქვია!

შენ მუშაობდი ცოტა ხანს „ნიანგის“ რედმოადგილედ  
 და ჟურნალს ლექსადქცეული ღიმილი შემოაფინე!  
 ახლახან იყავ ათენში. იქ, ათას ფიქრში გართულმა,  
 სიტყვა ბერძნულად დაწერე და წაიკითხე... ქართულად!  
 მე მაინც გეტყვი, — რა ვუყო, ზოგიერთები გაჯავრდნენ!  
 შენ, სიკეთის ქმნით, იოსებ, თვით იესოსაც აპარებ!  
 იცოცხლე წელი, დღეიდან, მინიმუმ, სამი სამოცი  
 და პატრიოტი იყავი იმპორტულ ტანისამოსშიც!  
 შენისთანები მამულმა ბევრი და ბევრი გაზარდოს!  
 (ამ ლექსის რუსულ ენაზე თარგმანს ვთხოვ რასულ გამზათოვს!)  
 შენი თაყვანისმცემლები ვთვალე და ვეღარ დავთვალე!  
 ლექსი მაღლობით დავიწყე და საყვედურით ვამთავრებ:  
 მშვიდობის დაცვის კომთავრე, გაპატიებენ, გგონია?!  
 რატომ არ იცავ მშვიდობას, შენს ნახვავე რომ ოშია?!

#### მისამღერი

ევროპა და ამერიკა, აზია და აფრიკა და  
 ავსტრალია ასკერ მოვლო! — ყველგან ლექსად ავრიგალდა!  
 ახლაც საზღვარგარეთ არის! ვინ იპოვის, ვინ მოძებნის?!  
 მომეშველეთ! — ნონეშვილი დავიბრუნოთ, იოსები!

რომს და პარიზს — მზე განათებს, ამსტერდამს და ლონდონს —  
 გაწვიმს  
 და გტაცებენ მთარგმნელები ლექსებს, როგორც ოქროს საწმისს!  
 ბუნებრივი უცხო-მიმიკით, ბუნებრივი არტისტიკით  
 გამოდიხარ სცენაზე და მთელი სცენა ტაშით იძვრის!  
 რედაქციამ დაადგინა, — არ ჩაუთვლი ქრთამად თუკი, —  
 დედამიწის რაღად გინდა?! — გასაჩუქრებს მთვარის რუკით!  
 როცა მოიუბილებ, მოიკახეთ-კარდანახებ,  
 „ნიანგშიაც“ მოდი მაშინ! თუ არადა, კარგად გნახეთ!


\* \* \*

ბოლოს შენი სტრიქონები მომყავს გადასხვაფერებით:  
 ცოტანი ვართ, რადგან ზოგჯერ ერთმანეთს ვჭამთ ქართველები!

#### ზაურ ბოლქვაძე



70





დილით ირიქრატებს და ჭიანჭველების ბუდესავით აფუსფუსდება თოთხმეტსართულიანი სახლი.

სასწრაფოდ ჩავაცვამ, წვერს გავიპარსავ, ცოლის საყვედურს მოვისმენ, რომ ენატრება ერთხელ მაინც მისმა ქმარმა ნორმალურად ისაუბროს და ისე გავიდეს სახლიდან. ჭიქა ჩაის ნახევარზე მოსვამ და ეზოდან გაისმის კიდეც მანქანის საყვირის ხმა. ეს ნიკოა, ჩემი ბავშვობის მეგობარი. სკოლა და ინსტიტუტი ერთად დავამთავრეთ. მუშაობაც ერთ დიდ საწარმოში დავიწყეთ, სადაც ახლა ის დირექტორია, მე კი — საკონსტრუქტორო განყოფილების უფროსი. ასე ხდება ხოლმე ცხოვრებაში.

ნიკო მანქანაში ზის და სიგარეტს აბოლებს.

— მენატრება, ერთხელ თავის დროზე ჩამოხვიდე და აქ დამხვდე! — ბუზდუნებს იგი და ამით მთავრდება ჩემი ყოველი დილის უვერტიურა.

— ეგ უზმოზე განსაკუთრებით უხდება ორგანიზმს... — ვამბობ მე და სიგარეტზე ვანიშნებ.

— რამდენ კვერცხს უდრის?

— ნასაუზმევზე — სამს, უზმოზე — ათს!

ნიკო მანქანის საფერფლეს გამოსწევს და მართლა ერბო-კვერცხივით ჩაახლის შიგნაგვრად დამწვარ სიგარეტს.


— შავი კოსტიუმი, თეთრი პერანგი ხომ გაცვია? — ვაგრძელებ ყოველდღიურ დიალოგს. — მასე, დირექტორის ავტორიტეტი რიგზეა, არ გაბრიყვდე და სხვანაირად ჩაცმული არ მოხვიდე!

— მე მართლა ბრიყვი ვარ, რომ გეახლები ხოლმე... — ამბობს ნიკო, — რა ძალა მადგას?! იწანწალე, ფეხით. თან ჯანმრთელობისათვისაც ხომ კარგია?!..

— ნამდვილად!

— ჰოდა, ხვალ ფეხით მობრძანდები!

სანამ ჩვენ ამ დიალოგს დავამთავრებთ, ქარხანაშიც შევდივართ და იწყება სამუშაო დღე, მეოცე საუკუნის ჩვეული ტემპით, სადაც აღარაფრისათვის არ რჩება დრო — საათი, წუთი, წამი...



ყოველ დილით დირექტორს თავის კაბინეტში ხუთწუთიანი თათბირი აქვს.

— საწარმოს გეგმა პირველ კვარტალში ას ორი პროცენტით შესრულდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ამხანაგებო, რომ თვითკმაყოფილებას მივეცეთ!..

— ამიტომ, ბატონო ნიკო, — ამბობს ჩემი ახალი მოადგილე. იგი სულ ახალგაზრდა სპეციალისტია, ახლახან გამოგვიგზავნეს ბიუროში. — რაკი ჩვენმა თანამშრომლებმა თავი ისახელეს, მოვაწყოთ ექსკურსია. ახლა ისე ლამაზია არემარე, ირგვლივ შემოდგომის სურნელი ტრიალებს, ბუნება ათასნაირად ფერს იცვლის... — ექსკურსია და სეირნობა კარგია, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს...

— რომ გეტქვა, ერთი კარგი პურ-მარილი, კიდეც მესმის! — ხითხითებს პროფკომი.

— დიას, პროფორგანიზაციას ის ურჩევნია, რომ მიხედოს... აგერ, ამხანაგ ნინოს ორმოცდაათი წელი უსრულდება, ჩვენს ბიუროში მუშაობს, აღნიშნეთ რაიმეთი, ჩაატარეთ ღონისძიება! — ვამბობ მე ოდნავ წარბეჭეტილი.

— სწორია თქვენი შენიშვნა, — მეთანხმება ნიკო, — აუცილებლად უნდა შევიმუშაოთ გეგმა!

— რა ღონისძიება და რა გეგმა უნდა მაგას, — იღიმება ჩემი ახალგაზრდა მოადგილე, — ვუყიდოთ ქალბატონ ნინოს ყვავილები და მივართვათ, მგონი, თეთრი მიხაკები უყვარს, ფურცლებზე ბაცი ვარდისფერ არშიამოვლებული მიხაკები... მარ-

თლა ძალიან ლამაზია. მივიდეთ და მივულოცოთ!

— მიხაკებს, ჩემო ძამია, თითოს სამი მანეთი უნდა. — ბურდუნებს მტკვარი ბულატერი, — მაგ ფასით, სჯობს ერთი ბანბანერკა ვუყიდოთ.

— რა საჭიროა მიხაკები. პანაშვილზე კი არ მიდის, ჰი, ჰი, ჰი...

თათბირის შემდეგ კი ნიკო მე მეუბნება:

— არა, ეს ბიჭი კაი ადამიანია, მაგრამ რაღაც ქერქეტია... იმ დღეს მთელი ათი წუთი მელაპარაკა, როგორ გალობენ ბულბულები მთაწმინდის ფერდობზე...

— მერცხლები მთელი დღე ჭლურტულვებდნენ მავთულზე შემომსხდარნი... მგონი, თავი შეგაწყინე... ახლა წავალ და იმ დარჩენილ ნახაზებსაც მივხედავ... — ვამბობ მე.

ნიკო დაბნეული და გაოცებული მიყურებს. მე რატომღაც ბუნდოვნად მახსენდება, რომ ნიკო ბიჭობაში ფოთლებს აგროვებდა და დიდ ალბომში აკრავდა. შინ ერთთავად რაღაც ფრინველები ჰყავდა, მონადირე ძაღლი...

მეორე დილით ნიკო სიგარეტს აღარ ეწეოდა მანქანაში. ერთ ხანს დუმდა, შემდეგ მომიბრუნდა:

— კაცო, ამ ბოლო დროს რაღაც სულელური სიზმრები დამჩემდა, ვითომ ისევ ბავშვი ვარ, ყვავილებსა და ფოთლებს ვაგროვებ...

იგი ერთხანს დუმდა.

— მართლა, შენთვის უნდა მეკითხა, ვინმეს ერთი კარგი ლეკვი ხომ არა ჰყავს? ჩემმა ცოლმა კი ვამაფრთხილა, აქ ლეკვი და იადონი არ დამანახვო... მაგრამ ვინ კითხავს მას! — იქუხა ნიკომ.

მან ხელი ჩაიქნია და დაამატა:


— ისე კი ყველაფერი სისულელეა.

მართლა სისულელეა? რატომ ვეღარ ვამჩნევთ ყვავილს, ფოთოლს, მერცხალს, ბალახს...

მე მგონი, მთლად სისულელე არ უნდა იყოს.

ჯურღან ყორღანაშვილი

ნახ. მ. უპილაურისა



— მამი, ყურძნის მოსავალს კარგი პირი უჩანს, არა?  
— მკუ, არადა, შენ დაგემგვანებოდა!

ნახ. ზ. დვინაძისა



სამახსოვრო კოლექტიური ფოტო.





— ხალხი, მიხედული ამარი მყარბა: ლიტი არ მართებს ის მამ სიმაღლესზე მამ აქვიალი!

ყვილი, ვინე ძვირი...

აბა, ბიჭო, დღეაუ შენებერი ვადავანა, ქვიდის და დროსტარების დავლევა მადე ვანა!

სამოუხლო არ გივიდავს ამო ყაბილი არუ ქინხანა, რასტორისაქ მთავროლებს ხან აღვანა, ხან ჩილხანა...

ბატის ცვირან მწეავენს რომ ქან, სუდრას რომ შლი შირა-შირა, შა პურსაც რომ არ აღიხსენ, — ცოლ-შვილმა რა დაშავა?

ერთისლ მაინე დღეაურ ჩვენებერი ვადავანა, სულ სხვის ქვლებს რომ უყურებ, ცოლს შეხედე ხანდახანა...

სულ ხასხაში, სულ სიხინელე, სასულდე და ყვაახანა... რა იქნება, თვარქმია შეირო ხანდახანა?

გინების და ლამინების ღვაბილი პირიდან რომ მიდარს დეაბო, ერთხელ ტუბილი სისაყვ დაღვლეს, ცოლის გულს გასაყავ!

თუ ამ ლეუმში თავი იცნო, არ ამბიერდე ხმაღამამალ! — შერისთანა ურუჯლითა მორუჯლების დადე ხანა!

თიერი სახსარამ-ჰლამამ

ნან. ი. შინაწმინისა



სუსტავერ

ნიანგი-გარეკეპლანს

ამირსანი მეთიხველები ხნილად შეგებდნენ სურვილი, ჩამოედნ და საეუროთი თვლით ვინის ის, რაზედაც გელატე-ეული შეგობილი ზღვან, შარან ჩვენს სურვილს წინ ბეჭი ხელ-გემული დაბრუნება ვინის არ, თუდეს ასე: მიიღეს თუ არა თვენი წერილი გვან ჩაოთს სოფელ ხანდავან, მაინეც ვინავე შეიძლება, რომ თვენი გელატეული განთქმული მაღარს ამანთბინა მატყან, შარან კომალ მიმულს, ექსტრულს, ქვილი მოიხის და მატყან, ვანზე იბინი იბიო დამცდა, მაინეც ისე ვან-ღლითა, რომ ვანგრობა ვერს ავიგებთ და შესვენება ვადავანეც (ვინი) ვანგრობა, რომ ვანგრობა სურვილს მინდის მიიღებელი და ამ ქვილი არ უნდა ვანგრობავთ...

საფარული თვენი 60450

წყალში არბამასკარული კარბი

- 013035 მარტო დღეაუყვარე იფორეთ, დამთავრე ბაზე სხევი იღარღებნი!
● 018501 მით ზევის მრავალი გზა არხებობს, მით შირის — მოსავლემულიც!
● 013035 უშალი დროის გამოყენებას ერთადერთი რამ უშლის ხელს — თავისუფალი დროის უქმობა!
● 0201, თე ვალე უწინ, გულს ამბამვეს.
● 018015 თუ ვაიგოვებავი, კეთილი ინიებთ და გაციხანასელი კიდე!
● 013035 ყველა საეურო აღვიღებ და შეუვდება... ადრებებს დავხაბო!
● 01 უშ შეგებე და, დგზე წამოაყენე სინდისი!
● 013035 უშალი დროის გამოყენებას ერთადერთი რამ უშლის ხელს — თავისუფალი დროის უქმობა.
● 018015 ხტომა ხტომა ხტომა სიტყვას სიმარლულზე ხტომა შევინს.
● 013035 ადამ დამ ვის პირველი ქმარი იყო?
● 018015 მინე ცი იმბორეთ!
● 018015 თუ არ მკვს, მინე უნდა ვანევიწინო?
● 013035 ხტომა ხტომა ხტომა დავარდვს მიესტობით, რაც არაილდეს გვიჩინა.

ბეჭი

— იმ, რა მომხილი გონია შევიძინაო ჩას ვანბო, გონია კი არა, ხანდახლ ხელგადა, მადე ვადედავს იმ, რა ავიდა დავლე ვანგრობა, ცვხის ღაღინი ხანგრო ვარდამ, მე შინა... ნენა მთავით, აღტყუანს მიიღეს...

— იმ, როგორ ვეკვრებო, ბატონი ვარდამ ამ ვარში არ ვიგ დავე... დავთამბობთია ამ, როგორ შევიძინაო, ასეთი უნარბუნელი იმარა ვანობოვთ თვენი, ვანე ასეთი სინარბონი, დღესღობანი შარია ის, ნანეი, რა ვფიქრო ბუნეა აქმა, რა ვქუანე თუდეს, რა ვთქვით თანა, რა სველი დინეა-ახლა უკვანე ერთი შარს უღებელი წიგნები წაჩეიხობს, როგორ ვეკვრავ ცხვილებს უკვანე უნარბონათი ვანსი არ დაუწევა...

— იმ, შარსული, ეს ხომ ერთი და იგივეა დღესვე ამ ერთში იმდენი ვერაგნი მოხარბა, რომ ძალი შევინა, არ ჩას ნანეც მარბუნელი ზღვარბუნელი და თანაც კარგე მტრბუნელი ბატონი ვარდამ, თვენი ვანგრობა ვანე ვანგრობების ძალბუნეა მანდახლი, მით ვადვარდა ხანდახან და შევინა ზღვარბუნელი, ვართო ითხენ ვანგრობის მტრბუნელი და ვანე ვანგრობის მტრბუნელი...

— იმ, შარსული, ეს ხომ ერთი და იგივეა დღესვე ამ ერთში იმდენი ვერაგნი მოხარბა, რომ ძალი შევინა, არ ჩას ნანეც მარბუნელი ზღვარბუნელი და თანაც კარგე მტრბუნელი ბატონი ვარდამ, თვენი ვანგრობა ვანე ვანგრობების ძალბუნეა მანდახლი, მით ვადვარდა ხანდახან და შევინა ზღვარბუნელი, ვართო ითხენ ვანგრობის მტრბუნელი და ვანე ვანგრობის მტრბუნელი...

ანანი ვალონანი



— სანი დღამ, მიიღე უნანი კვირბული, ამოღანა შული მასკარული და ამა მდებარე მითი ამბარბანს მდებარე, არანე მიხვანთი ურადობა!

ნან. ი. შინაწმინისა




სუსტავერ

სუსტავერ

სუსტავერ... თვენი წერილი ჩამანეი, რა ვანგრობა, თვენი ხომ მიიღებდა იფილი ვანგრობეც ასეთი ვანგრო, ახლავ მიუვარბე რის... ხანის მდებ, იმ, როგორ მივარბას ასეთი ძალბუნე! — იმ, ხანგამ, ვინამ არ ამ ბოზბო, ძალბუნე მრავალი მტრ, ესო!

ანანი ვალონანი



— ის დღი მამა მრავალბუნის, მამარ მს წარღვრებ რაუ საპირი?

წყალში არბამასკარული კარბი

- სამწარბარო, ტუცილის დავებდაც შეიძლება.
● 013035 მინეც სასურველი გულს ნარბამი შეტვის უფლებს მოპოვება.
● 018015 ვაიცი თე, იღინე თვენი არა!
● 013035 ვანგ დენა ილითა, ამა, საეურო ნებისყოფა ვანგ დენი!
● 018015 ვანგ დენა ისო, ამა, საეურო ნებისყოფა ვანგ დენი!
● 013035 ვანგ დენა ისო, ამა, საეურო ნებისყოფა ვანგ დენი!
● 018015 ვანგ დენა ისო, ამა, საეურო ნებისყოფა ვანგ დენი!

ნან. ი. შინაწმინისა

სუსტავერ

სუსტავერ... თვენი წერილი ჩამანეი, რა ვანგრობა, თვენი ხომ მიიღებდა იფილი ვანგრობეც ასეთი ვანგრო, ახლავ მიუვარბე რის... ხანის მდებ, იმ, როგორ მივარბას ასეთი ძალბუნე! — იმ, ხანგამ, ვინამ არ ამ ბოზბო, ძალბუნე მრავალი მტრ, ესო!

ანანი ვალონანი

სუსტავერ

სუსტავერ... თვენი წერილი ჩამანეი, რა ვანგრობა, თვენი ხომ მიიღებდა იფილი ვანგრობეც ასეთი ვანგრო, ახლავ მიუვარბე რის... ხანის მდებ, იმ, როგორ მივარბას ასეთი ძალბუნე! — იმ, ხანგამ, ვინამ არ ამ ბოზბო, ძალბუნე მრავალი მტრ, ესო!





— ასე ძვირად რატომ აქვს ასობით იმიტომ, რომ შენისთანა მუქთაგვამლები მომრავლდნენ!

### ხიდი არ გვიღებს წყალზე...

ნიანგო, ერთი გვითხარი ჩვენი მშველელი ვინ არი? — ხიდი არ გვიღებს წყალზედა, ფიქრი გვაქვს მოუსვენარი!...

ნეტავ, რა წყალში ჩავვარდეთ, ან რანაირად დავმშვიდდეთ, მეზობელ სოფლებს უხილოდ როგორღა დავუკავშირდეთ?!

გვინდოდა შენთან ჩამოსვლა (შენს ჩანგალს ვნატრობთ მძინვარეს!), მაგრამ ვერსაით გადმოველთ ამ სატილო მდინარეს!

ბოდიში, ძმაო ნიანგო, ამდენი თხოვნით დაგქანცეთ! გთხოვთ, ხიდზე სიტყვა ჩაუკრათ ჩვენი სოფლების თავკაცებს!


სახერის რაიონის სოფელ სპეთის, ზნაურის რაიონის სოფლების — ავნივისა და მეორე ლესიჭინის მცხოვრებთა სახელით —

ვანო გურული



სტიციკორ

# საქართველოს ვესტნიკი



ადამიანმა კალამი რომ აღლოს ხელში და განცხადება-საჩივარი დაწეროს, მას რაღაც უნდა აწუხებდეს, ვიღაც უნდა უშლიდეს ხელს მუშაობაში, დასვენებაში, ცხოვრებაში...

რედაქციაში ათეულობით წერილი შემოდის, გვწერენ ნაკლოვანებებზე, სთხოვენ „ნიანგს“ დახმარებას. შეიძლება, ზოგი სათხოვარი წვრილმანად მოგვეჩვენოს, მაგრამ თუ დავუფიქრებთ, ის, რაც ადამიანის ნორმალურ ყოფას ამუხრუჭებს, განა წვრილმანია?!

თელაველი დასასვენებლად დასამკურნალოდ ესტუმრა კურორტ წყალტუბოს. თელავში ოჯახი აქვს, ცოლ-შვილი ჰყავს. ჰოდა, იმისათვის, რომ მათ არ იღარდონ, წყალტუბოდან თელავში გაფრინდა დეპეშა: „თელავი მახარაძის 178 ჰიპოკრატის ჩამოვედი დავბინავდი კარგად გოგი“. ორი დღის შემდეგ დეპეშა უკან დაბრუნდა წყალტუბოში, თან პასუხი მოიტანა: „აღნიშნულ მისამართზე ადრესატი არ ცხოვრობს“. მოქალაქე გ. ჰიპოკრატის გვეკითხება, რა ქნას, დაისვენოს ერთი თვით წყალტუბოში, თუ ახლავე დაბრუნდეს თელავში და მოიძიოს, სად გადასახლდა მისი ცოლ-შვილი?

\* \* \*

სამოქალაქო ცნობილია, რომ ძალდი ადამიანის ერთგული მეგობარია, ძალდი გონიერი ცხოველია. ამიტომ გვრცხვენია მეგობარზე ცუდი ვთქვათ, მაგრამ რა ვქნათ, ის ძაღლები, რომლებზეც ჩვენ ვწერთ, გარწმუნებთ, არ არიან ადამიანის მეგობრები, თორემ ასე არ შეგავწუხებდნენ. ჩვენ ვფიქრობთ, არც გონიერები არიან, თორემ მთელი დამე არ იყევებდნენ, ცოტას მაინც დასვენებდნენ და ჩვენც დაგვასვენებდნენ, ანდა ჯგუფებად რომ შეიკრიბებიან ხოლმე, მგლების სროლა დაესხმებათ თავზე ამ

შუაგულ ქალაქში თუ რა? ჩვენ ვიან თბილისის ოქტომბრის ქუჩის ოცდამეთოთხმეტე ნომრის მცხოვრებნი.

\* \* \*


— ჩვენ მაიაკოვსკის რაიონის სოფელ წყალთაშუაში ვცხოვრობთ. ჩვენს უბანს დაფენილს ეძახიან და, მართლაც, დაფენილ ხალიჩასავით ლამაზად მოსჩანს ააირმეში მიმავალი გზიდან. სოფელში კლუბი და ყოველდღიური მოხმარების საგნების მაღაზია რომ არა გვაქვს, ამას შევეურობოდით, ხიდზე გავიდოდით, რაიონს ჩავიდოდით, ყველაფერს შევიძინდით, კინოშიც შევიდოდით, მაგრამ, ვარი, რომ ხიდი გასასვლელად არ ვარგა. მდინარემ კი, რომელზედაც ეს ხიდი გადებულა, ისეთი აღიღება იცის, რომ ხან ცხენს გვიხრჩობს. ხან რაიონში ჩასაბარებლად წაღებულ მოსავალს გვართმევს. — გვწერენ მაიაკოვსკის რაიონის სოფელ წყალთაშუადან.

სარედაქციო ფოსტაში ხშირად ისეთი წერილიცაა, რომლის ავტორი ან განზრახ აზვიადებს ნაკლოვანებებს, ან უნებლიედ ცდება: — პატივცემულო ნიანგო! ბოდიშს ვიხდით შეწუხებისათვის და ველოდებით შენგან შევლას, ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლეებს პრაქტიკაზე სოფლებში გზავნიან და კოლმეურნეობაში ამუშავენ. თქვენ მაინც განგვიმარტეთ, რა გამოვა მათგან — მექანიზატორები თუ მთოხნელები? — განგაშობს ერთი ავტორი რაჭიდან, „გულშემატკივრის“ ფსევდონიმით.

პატივცემულო „გულშემატკივარი“! სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლემ პრაქტიკა სოფელში უნდა გაიაროს. — აბა, სტომატოლოგიურ კლინიკაში ხომ არ გაგზავნიან? ან მომავალმა აგრონომმა თუ მექანიზატორმა ცოტა კიდევ რომ მოთხონოს, ვითომ რა უჭირს?

მარიკა გველესიანი





— უფროსო, მანქანა მომპარეს; რა ვქნა, სად დაკრემო?!  
— ნუ ღელავ, თვითონ გამტაცებლები დაგირეკავენ!

### ნაკრძალი საირმის ქუჩაზე

ბუზი მავნებელი მწერია! — ეს ყველას კარგად მოეხსენება. ამიტომ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. „მოსპეთ ბუზი!“ — ეს მოწოდებაც ნაცნობია.

მართლაც, ადგენენ თბილისელები და, ერთ მშვენიერ დღეს, მოსპენ ბუზი. მაგრამ დღევანდელი თბილისელები თავიანთი შორეული წინაპრებზე წინდაუხედავად როდი მოიქცნენ. მამონტისა და მისი ამხანაგების სინსილა რომ გაწყვიტეს. თბილისელებმა შექმნეს ბუზების ნაკრძალი. საამისოდ მათ გამოიყენეს საირმის ქუჩის დასახლებბა. სწორედ აქ, მშვენიერ ბორცვზე, აქვთ მათ დიდებული თუ შეიძლება ასე ითქვას, ბუზსამენი. როგორ, ჩვენმა შეილიშვილებმა რომ გვკითხონ, მაინც როგორი იყო ის თქვენი ბუზიო, პასუხი ვერ უნდა გავცეთ? ჰოდა, მადლობა ღმერთს, ახლა ნაკრძალი გვაქვს საამისოდ. რა ჯიშისა და ხასიათის ბუზს არ ნახავთ აქ! რომ იტყვიან, ფართო ასორტიმენტის ნაკრძალთან გვაქვს საქმე. ეს კია, ბუზის მოკვლაზე ჭერ ლიცენზია არაა დაწესებული და ზოგიერთი ბრაკონიერი თუ სუსტი ნერვების პატრონი დიასახლისი უმოწყალოდ ანადგურებს ძვირფას ჯიშებს.

როგორც გავიგეთ, საირმის ნაკრძალისთვის ბუზები, ძირითადად, ჰიპოდრომზე გამოჰყავთ საგანგებო სათბურებში. დიდ დახმარებას გვიწევს ამ მხრივ ფერდობებზე გამეფებული ანტისანიტარიაც.

სათხოვარი მაინც გვაქვს „ნიანგთან“: იქნებ გვიშუამდგომლოთ ქალაქის სანეპიდსადგურთან, საირმის ნაკრძალისათვის გაგვიხერხოს რამდენიმე წყვილი ბალღინჯო. ბალღინჯოს ღირსებებზე. ვფიქრობ, ლაპარაკი არ დაგვჭირდება. გახსოვთ, ალბათ, რომის დროს, როცა ბალღინჯო ბლომად გვყავდა, ადამიანებმა თითქმის არ იცოდნენ, რა იყო ჰიპერტონია და ჰიპოტონია.

ზამთარი კარზეა მომდგარი. ახლა ჩვენი საზრუნავია ნაკრძალის რაც შეიძლება უდნაკარგოდ გამოზამთრება. დარწმუნებული ვართ, სანეპიდსადგური არც ახლა შეგვიშლის ხელს ამ კეთილშობილურ საქმეში.

ბი-ბია



უსიტყვოდ

## სადან არა სჯობს...

ბენზინის გასაწყობ აპარატურა მანქანაზე ფრთხილად მივაყენე.

— ჩამისხით ოცი ლიტრი! — ვთხოვე ჩიხურში მქდომ მარაოიან ფარშავანს.

ქალიშვილმა ცალი წარბი მაღლა აწიდა, წამწამები თოჯინასავით დააფახულა და წითელკანჭიანი ნეკა თითი გამშვები პულტის ელექტროლოლქს დააჭირა. აპარატი ციებინავით აძიგძიგდა, კარგა ხანს იხრიალა. შემდეგ მომაკვდავივით დაიბროტინა და გაჩერდა.

მაჩვენებელ შკალას დავხედე: მანქანის ავზი ნახევრადც არ იყო ავსებული!

— დაუმატეთ კიდევ ათი! — მივმართე ანგელოზს, რომელიც ჩემი მანქანის უჯან, უნომრო „ფიგულთან“ მდგარ ჩინსიან, წოწოლათმიან ჭაბუკს ჭამდა ჩალურჩებულ თვალეებით.

ფერია ოცნებიდან გამოერკვა, ვარდისფერი, ფართო ტუჩი გრძელი ენით დაიწყლიანა, ჩინსოსანს თვალი ძლივს მოწყვიტა, მერე მე დაცინვით გადმოხმედა და აპარატი ააქოთქოთა, ბენზინის ავზი მაინც არ ივსებოდა. გამიკვირდა, მუსხლებზე მორწმუნესავით დავვცი და მანქანის ქვეშ შევიხედე. ავზიდან წვეთიც არ იღვრებოდა. კიდევ დამიმატე ათი ლიტრა-მეთქი, ვთხოვე მზეთუნახავს.

— რა გააჭირე საქმე?! გეთქვა და ერთად ჩაგისხამდი! — გაბრაზდა იგი.

— გეტყოდით, მაგრამ რა ვიცოდი, 46 ლიტრიან ავზში 50 ლიტრს თუ ჩაატევდით?! — გავხედე ხუმრობა აპარატის გარინდების შემდეგ.

— მაგი არ ვიცი მე! ორმოცდაათი ლიტრა ჩაახსი, ხუთი მანეთი მერგება! — შეცარად მომთხოვა ანგარიშსწორება.

— დამიწერეთ ცნობა, რომ ჩემი „მოსკივი 412“ — ის ავზში 50 ლიტრი ბენზინი ჩაახსით! — კატეგორიულად მოვითხოვე მე.

— ცნობა რად გნებავთ?! — ირონიულად გამომაჯავრა ფერია.

— ავტოქარხანაში გავგზავნი და მივწერ, თქვენ კონსტრუქციის მანქანაში, ნაცვლად ორმოცდაექვსისა, ორმოცდაათი ლიტრა ბენზინი ჩადის, ეს თქვენ არ გცოდნათ და კორექტურა შეიტანეთ ინსტრუქციაში. მანქანებს თან რომ ატანთ-მეთქი.

უცებ გადაიწია იისფერი ფარდა, ბენზინის გამყიდველის ჩიხურს შუაზე რომ ჰყოფნიდა, და იქიდან ორი ახმახი გამოვიდა.

— აქ რა ამბავია?! ვინ გაწუხებს, ნუნუი?! — ნამძინარევი დევითი იკითხა ერთმა.


— რას ერჩი ამ უსუსურ არსებას?! — მესროლა მხერა მეორე ახმახმა და ილია მოიქეჯა.

— მე ცნობა მინდა! — ვცადე პოზიციის გამაგრება.

— ცნობებს მე ვიძლევი! — გამოსცრა პირველმა და ამით მიმახვედრა, რას ნიშნავდა ეს ნათქვამი.

შვად ვიყავი, უთანასწორო ბრძოლაში ჩავბმულიყავი, მაგრამ გუშანით მივხვდი, ფარდის იქით ფარდა იყო, მის მიღმა — კიდევ ფარდა... სუსტი არსების კიდევ ვიღაც ქომაგი, ამიტომ ენა ლუქმასავით გადავყლაპე, თან, ჩემდა იღბლად, რუსთაველი გამაჩხენდა, სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო, და მანქანა რაკეტასავით მოვწყვიტე ადგილს.

ბადრი ტონია



606  
2. XI 78

უსიტყვოდ



ამერიკელი ქალები დღემდე მოკლებულნი არიან თანასწორობას ცხოვრების ისეთ დიდწინაშეწევლოვან დარგებში, როგორცაა შრომითი მოწყობა, ვანათლება, ჯანმრთელობა და ცეკვა, სამედიცინო მომსახურება და სოციალური უზრუნველყოფა. სტატისტიკის თანახმად, ქალების ხელფასი შეადგენს მხოლოდ 60 პროცენტს იმ ხელფასისა, რომელსაც მამაკაცები ამავე სამუშაოსათვის იღებენ. ქალებს შორის უმუშევრობა ორჯერ მეტია, ვიდრე მამაკაცებს შორის.



— დაუნიშნეთ ხელფასის სამოცი პროცენტი, იცოდეს, რომ ქალია!

მთავარი რედაქტორი ზურან გამაზუვილი სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (მთ. რედ. მოადგილე) ზ. კაციაშვილი, ზ. ლოლუა, ზ. ლომიძე, ნ. მალაფრენია (მხატვ. რედ.), ზ. ნიუნიაძე, ბ. სინარულიძე (პ/მგ. მდივანი), ზ. ფირცხალავა, ო. ჯალიძე  
● ტექნიკური რედაქტორი მ. კახალაშვილი, ● საბრძოლო და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ვადაეცა ასაწყობად 25/IX-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/X-78 წ. ქალაქის ზომა 70x108/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 2605. უფ. 00940. ტირ. 141.000 ტბილისი, პრ. რუსთაველი № 42, Сатирико-юмористический журнал «Нянки», ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.  
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატი თემების ავტორები: ზ. ლომიძე, ზ. დეი-საძე, მ. უძილაური, ჯ. ლოლუა, ი. ქეინიშვილი, მ. აბაშიძე, ა. წულაძე, ნ. ქე-ლეხსაშვილი.

